ISSN 1512-1801

ბულინგის მსხვერპლი მოზარდები და აღზრდის სტილი: თეორიული და ემპირიული კვლევების მიმოხილვა

ნინო მამფორია[1], ნატო ასათიანი[2]

[1] თსუ, ფსიქოლოგიის მაგისტრი;
[2]თსუ ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ანოტაცია:

სტატიის მიზანია დაგვანახოს მშობლების მიერ გამოყენებული აღზრდის სტილის გავლენა მოსწავლეთა ბულინგის ქცევაში ჩართულობაზე. სტატიაში განხილულია აღზრდის სტილის კლასიკური თეორიები (ავტორიტეტული, ავტორიტარული, დათმობადი და უყურადღებო აღზრდის სტილი) და მათი გავლენა მოზარდების ქცევაზე. მრავალი ავტორი თუ ფსიქოლოგიური თეორია ცხადყოფს, რომ მშობლების დამოკიდებულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოზარდების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, აკადემიურ წარმატებასა და სოციალური უნარების განვითარებაზე. ეს ფაქტორები კი პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ რა ფორმით ჩაერთვება მოზარდი სხვადასხვა კონფლიქტში.

წარმოდგენილი მეორადი სხვადასხვა კუთხიდან გვანახებს ბულინგის განვითარების შელშემწყობ ფაქტორებს და მისი პრევენციის ქმედით გზებს. რეკომენდაციები მოიცავს ავტორიტეტული აღზრდის სტილის წახალისებას, მშობლების აქტიური ჩართულობის გაზრდას და მეგობრული, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

საკვანძო სიტყვები: *აღზრდის სტილი, ბულინგი, ავტორიტეტული აღზრდა, განათლება, პრევენცია, მოზარდები*

შესავალი:

ბულინგი თანამედროვე სკოლების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გავრცელებული ფსიქო-სოციალური პრობლემაა, რომელიც არამხოლოდ ინდივიდუალური, არამედ სისტემური ჩარევის საჭიროებასაც წარმოშობს. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ საკითხისადმი ინტერესი, როგორც აკადემიური წრეების, ისე განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით (Olweus, 1993; Espelage & Swearer, 2004). ბულინგი არა მხოლოდ კონფლიქტური ურთიერთობების პროდუქტია, არამედ ის წარმოადგენს ძალაუფლების დისბალანსზე დაფუძნებულ განმეორებით აგრესიულ ქცევას, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მსხვერპლის, ისე დამკვირვებლის და თავად აგრესორის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფუნქციონირებაზე (Olweus, 1994; Salmivalli, 1999). ბულინგი დიდ როლს თამაშობს მოსწავლეთა აკადემიურ მოტივაციაზე, სკოლისადმი დამოკიდებულებაზე, ემოციურ კეთილდღეობაზე და ხშირად იწვევს ისეთი შედეგებს, როგორიცაა სოციალური იზოლაცია, შფოთვა, დეპრესია და თვითდაზიანებები თუ სუიციდური იდეაციები. (Hawker & Boulton, 2000).

ISSN 1512-1801

ბულინგი არ უნდა განვიხილოთ როგორც ბავშვის ან მოზარდის პიროვნული მახასიათებლების გამოძახილი. ის უმეტესად ფორმირდება და მყარდება სოციალურ კონტექსტში, სადაც ერთდროულად მოქმედებენ ინდივიდუალური, ურთიერთობითი და სისტემური ფაქტორები (Bronfenbrenner, 1979). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური გარემო, როგორც ბავშვის სოციალური განვითარების საწყისი და გადამწყვეტი სივრცე. ოჯახში დამკვიდრებული აღზრდის სტილი — ანუ ის ემოციური და ქცევითი ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც მშობელი ურთიერთობს შვილთან — მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბავშვის სოციალური სტრატეგიების განვითარებას, თვითშეფასებას, ემოციურ რეგულაციას და თანატოლებთან ურთიერთობის უნარს (Baumrind, 1966; Maccoby & Martin, 1983; Gratz & Roemer, 2004).

მშობლების აღზრდის სტილის კლასიფიკაცია კვლევებში ხშირად ეფუძნება ბაუმრინდის მიერ შემოთავაზებულ მოდელს, რომელიც გამოყოფს ოთხ ძირითად სტილს: ავტორიტეტული, ავტორიტარული, პერმისიული (დამთმობი) და უყურადღებო (Baumrind, 1971). ავტორიტეტული სტილი, რომელიც აერთიანებს მაღალ ემოციურ მხარდაჭერას და მკაფიო მოთხოვნებს, ხელს უწყობს მოზარდში თვითრეგულაციის, პასუხისმგებლობის და სოციალური ადაპტაციის განვითარებას. ავტორიტარული სტილი, რომელიც დომინირებს მკაცრი კონტროლით და ემოციური სიახლოვის ნაკლებობით, ხშირ შემთხვევაში იწვევს მორჩილებას, შფოთვას ან აგრესიას. პერმისიული და უყურადღებო სტილი კი ხშირად უკავშირდება ქცევით პრობლემებს, ემოციური დისრეგულაციას და სოციალურ დეზადაპტაციას (Darling & Steinberg, 1993). მნიშვნელოვანია, რომ ბულინგის ყველა მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოზარდი მაშინ ხდება ბულინგის მსხვერპლი, როდესაც მას სოციალური ადაპტაციის უნარის დეფიციტი აღენიშნება.

მშობლების ქცევითი მოდელები ბავშვებისათვის ხდება იმიტაციის და მოდელირების ძირითადი წყარო. ალბერტ ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიის (1971) თანახმად, ბავშვები სწავლობენ ქცევას არა მხოლოდ პირდაპირი წახალისების, არამედ დაკვირვების გზითაც — ანუ იმით, რასაც ისინი ყოველდღიურად ხედავენ საკუთარი მშობლების, მასწავლებლებისა და თანატოლებისგან. ამ მიდგომის თანახმად, ოჯახური ურთიერთობების სტილი გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ სწავლობს ბავშვი სოციალურ ნორმებს, როგორ ირგებს ძალაუფლებას, რა გზებით ცდილობს საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებას და როგორ რეაგირებს კონფლიქტურ სიტუაციებზე.

ბულინგის თაობაზე განხორციელებული თანამედროვე კვლევები მიგვანიშნებს, რომ არასახარბიელო აღზრდის სტილი — განსაკუთრებით ავტორიტარული და უყურადღებო — მკვეთრად ზრდის როგორც აგრესიულ ქმედებებს, ისე მსხვეროლად გახდომის ალბათობას (Espelage & Holt, 2013; Schwartz et al., 1993). ავტორიტარულ და უყურადღებო გარემოში გაზრდილ ბავშვებს ნაკლებად აქვთ განვითარებული ემოციური თვითრეგულაცია და მაღალი იმპულსურობა თუ აფექტურობა, აყალიბებს მათ როგორც პოტენციურ ბულერებად, ისე მსხვერპლებად (Gratz & Roemer, 2004).

გარდა ამისა, ეკოლოგიური სისტემების თეორიის (Bronfenbrenner, 1979) თანახმად, ბავშვის ქცევაზე მოქმედებს არამხოლოდ უშუალოდ ოჯახი (მიკროსისტემა), არამედ ამ ურთიერთობების კავშირი სკოლასთან (მეზოსისტემა), მშობლის სამუშაო გარემოს გავლენა (ეგზოსისტემა) და უფრო ფართო სოციალური ღირებულებები (მაკროსისტემა).

ISSN 1512-1801

ამ მოდელის ფარგლებში აღზრდის სტილი განიხილება როგორც ერთ-ერთი ცენტრალური ფაქტორი, რომელიც ამ სისტემებში ბავშვის ქცევასა და ქცევით სტრატეგიებზე ახდენს გავლენას.

შესაბამისად, უდავოა, რომ მშობლის მიერ გამოყენებული აღზრდის სტილი გავლენას ახდენს მოზარდის ბულინგის ქცევაში ჩართულობაზე, რაზეც სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მეტაანალიზიც ცხადყოფს.

აღზრდის სტილის მნიშვნელობა და ქცევითი მოდელები

აღზრდის სტილი დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ, სოციალურ, კოგნიტურ თუ ქცევით განვითარებაზე. დიანა ბაუმრინდი საკუთარ კვლევაზე დაყრდნობით (1960წ) გამოყოფს აღზრდის სამ სტილს, ესენია: ავტორიტეტული, ავტორიტარული და ლიბერალური (permissive).მოგვიანებით მაკკობმა და მარტინმა დაამატეს მეოთხე - უყურადღებო აღზრდის სტილი.

ავტორიტეტული აღზდის სტილი ინარჩუნებს ბალანსს სითბოს, მხარდაჭერასა და მაღალ მოლოდინებს შორის, რაც ახალისებს დამოუკიდებლობას და კომუნიკაციის ღიაობას. ასეთ დროს ითვალისწინებენ ბავშვის აზრს და ემოციებს, მშობლის კომუნიკაცია არგუმენტირებულია და არ იყენებენ ფიზიკური დასჯის მეთოდებს. მშობლები ბავშვს უვითარებენ პასუხისმგებლობის გრძნობას. ისინი ბავშვს აძლევს ავტონომიას და ახალისებენ დამოუკიდებლობას. აღნიშნული აღზრდის სტილი ასევე ცნობილია, როგორც დემოკრატიული აღზრდის სტილი. ეს მიდგომა ხელს უწყობს სოციალური უნარების განვითარებას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, მაღალ მოტივაციას, თავდაჯერებულობას, ემოციურ რეგულაციას.(Baumrind,1966).
ავტორიტარული აღზრდის სტული არის მკაცრი და მოითხოვს დამორჩილებას. მშობლები, საკუთარი წესების დაცვის მიზნით, ხშირად მიმართავენ მკაცრ ფიზიკურ ან ვერბალურ სასჯელს ბავშვის მიმართ. ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ავტორიტარული აღზრდის სტილის ქვეშ აქვთ მიდრეკილება შფოთვისკენ, აქვთ დაბალი თვითშეფასება და უჭირთ ემოციების მართვა. ამ აღზრდის სტილს უკავშირდება დეპრესიის მაღალი მაჩვენებელი და თვითმკვლელობისკენ მიდრეკილებაც კი. ასეთ დროს კი, უჭირთ გადაწყვეტილებების მიღება და ხშირად ხდებიან ავტორიტეტზე დამოკიდებული, ან კიდევ თავად ხდებიან ავტორიტეტები.(Baumrind,1966).

ლიბერალური აღზრდის სტილი გულისხმობს ძალიან მზრუნველ (ჰიპერმზრუნველ) მშობელს, მაგრამ, ასეთ დროს, აღზრდის პროცესს აკლია სტრუქტურა, დისციპლინა და მკაფიო მოთხოვნები თუ წესები. მშობლები უფრო მეგობრის როლს ირგებენ, ვიდრე ავტორიტეტული ფიგურის. ხშირად, ასეთი მიდგომით აღზრდილ ბავშვებს უჭირთ თვითრეგულაცია, რაც შეიძლება გამოიხატოს აგრესიულ ქცევაში, ან სოციალური ურთიერთობების სირთულეებში. ზოგიერთ ბავშვს უვითარდება მაღალი თვითშეფასება, ზოგიერთებს კი ქცევითი პრობლემები. მაგალითად, ისინი უარყოფენ

ISSN 1512-1801

ავტორიტეტს, რადგანაც ისინი არ არიან შეჩვეულნი დაექვემდებარონ წესებს. (Baumrind,1966).

უყურადღებო აღზრდის სტილი ხასიათდება ემოციური უგულებელყოფით, მინიმალური ჩართულობით (თითქმის არც მონაწილეობენ ბავშვის აღზრდაში) და სტრუქტურისა და მოლოდინების არქონით. ბავშვებს აკლიათ სიყვარული, ყურადღება და მზრნველობა. ბავშვები, რომლებიც ასეთ გარემოში იზრდებიან აღენიშნებათ განვითარების პრობლემები, სირთულეები აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. მაღალი ალბათობაა იმისა, რომ განუვითარდეთ აგრესიული ქცევები. (Maccoby, Martin 1983).

ბავშვის ქცევის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს მშობლის ქცევა და მასზე დაკვირვება. ადამიანები რომ სხვების ქცევის მოდელირებით სწავლობენ ყველაზე მკაფიოდ ალბერტ ბანდურამ დაადასტურა. იგი ხაზს უსვამდა, რომ ქცევის შესწავლა შესაძლებელია პირდაპირი გამოცდილების გარეშე, რასაც მოდელირებით სწავლას უწოდებს. მაგალითად, ადამიანი ხშირად ხედავს კონკრეტული ქცევით რა შედეგზე გავიდა ადამიანი და ის წყვეტს განახორციელოს თუ არა, საჭიროების შემთხვევაში, მანაც იგივე ქცევა (Bandura,1971). შესაბამისად, ბავშვი სწორედ მშობელზე დაკვირვებით ხვდება რა შედეგი მოაქვს სხვადასხვა ტიპის ქცევასა და დამოკიდებულბას. ბავშვი იაზრებს, თუ ის ბრმად ემორჩილება წესებს, როცა რაიმე არ მოსწონს არ აპროტესტებს (რადგან აზრი აქვს) და იღებს ჩუმად იმ მოცემულობას, რომელსაც არ იზიარებს (ავტორიტარული მშობლის შემთხვევაში), შედეგად, ვიღებთ ბავშვს, რომელიც თანატოლებთანაც ხრის თავს და არ იცავს საკუთარ პოზიციას. ამგვარი ბავშვები კი როგორც წესი, ბულინგის ქცევაში მსხვერპლის როლს ირგებენ.

დარლინგისა და სტენბერგის (1993) თეორიულ მოდელს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აღზრდის სხვადასხვა სტილის კვლევაში. ავტორები აღზრდის სტილს განმარტავენ, როგორც მშობლის ქცევის საერთო ემოციურ-სოციალურ ჩარჩოს, რომელშიც მიმდინარეობს კონკრეტული აღზრდითი ქმედებები, როგორიცაა კონტროლი, მონიტორინგი ან მხარდაჭერა. მათი ხედვით, აღზრდის სტილი არ მოიცავს მხოლოდ იმას, რა აკეთებს მშობელი, არამედ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ იმასაც, თუ როგორ ხორციელდება ეს ქმედებები — კერძოდ რა ემოციურ ფონს ქმნის მშობელი ბავშვისთვის.

დარლინგისა და სტენბერგის ინტეგრირებული მიდგომა კიდევ უფრო მკაფიოს ხდის აღზრდის თითოეული სტილის მახასიათებლებს. *ავტორიტეტული* აღზრდის სტილი ასოცირდება თვითრეგულაციის უნარის, სოციალური პასუხისმგებლობისა და აკადემიური წარმატების მქონე ბავშვებთან. *ავტორიტარული* აღზრდის სტილი ხშირად აყალიბებს მორჩილ, თუმცა დაბალი თვითეფექტურობის მქონე ბავშვებს, რომლებმაც ზოგ შემთხვევაში შეიძლება მიმართონ აგრესიულ ან კომპენსატორულ ქცევებს. *ლიბერალური* მშობელი გამოირჩევა თბილი ურთიერთობით, თუმცა ნაკლებად ავლენს კონტროლისა და საზღვრების დაწესების სურვილს. ბავშვები ამ გარემოში ხშირად ხდებიან იმპულსურები და ნაკლებად პასუხიმგებლიანები. *უყურადღებო* (გულგრილი) მშობელი არ ავლენს არც კონტროლს და არც ემოციურ ჩართულობას. ეს სტილი დაკავშირებულია ბავშვის ქცევით დარღვევებთან, აკადემიურ სირთულეებთან და რისკული ქცევის მატებასთან, მათ შორის ბულინგის ქცევაში ჩართულობით.

ISSN 1512-1801

შესაბამისად, დარლინგისა და სტენბერგის მოდელიც მკაფიოდ ასახავს იმ გავლენას, რაც მშობლის ემოციურ-ქცევით დამოკიდებულებას შეუძლია ჰქონდეს ბავშვის სოციალურ, ემოციურ და ქცევით განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მოდელის გამოყენება ისეთი ფენომენების შესწავლისას, როგორიც არის ბულინგის ქცევა, რადგან იგი გვაწვდით კონტექსტს, სადაც ბავშვის ქცევა ყალიბდება, მყარდება ან იცვლება. (Darling & Steinberg, 1993).

ბულინგის განმარტება და თანამედროვე კვლევები

ბულინგის ფენომენის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსი ნორვეგიელი ფსიქოლოგი დენ ოლვეუსია (Dan Olweus), რომელიც 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ავითარებს ბულინგის შესწავლის მეცნიერულ საფუძველს. ოლვეუსმა პირველმა ჩამოაყალიბა ბულინგის განმარტება აკადემიურ კონტექსტში და შემოიღო მისი ძირითადი მახასიათებლები, რითაც საფუძველი ჩაუყარა მის პრევენციასა და ინტერვენციაზე ორიენტირებულ მიდგომებს (Olweus, 1993).

ოლვეუსის მიხედვით, ბულინგი არის განზრახული, აგრესიული ქცევა, რომელიც განმეორებით ხასიათს ატარებს და სახეზეა მხარეებს შორის ძალთა დისბალანსი. ამასთან, ბულინგის დროს მსხვერპლი არ არის თანაბარ პოზიციაში ბულერთან შედარებით და მისთვის რთულია ან შეუძლებელი საკუთარი თავის დაცვა (Olweus, 1994). სწორედ, ძალაუფლების დისბალანსი და ქცევის რეგულარული ხასიათი განასხვავებს ბულინგს უბრალო კონფლიქტისგან ან შემთხვევითი აგრესიისგან.

ოლვეუსი ბულინგს განიხილავს, როგორც მრავალფაქტორულ ფენომენს, რომელიც არა მხოლოდ ინდივიდუალურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული, არამედ ეკოლოგიურ სისტემებზე — როგორიცაა ოჯახი, სკოლა, თანატოლთა ჯგუფები და საზოგადოებრივი ღირებულებები.

ოლვეუსი გამოყოფს ბულინგის ორ ძირითად ფორმას:

1. **პირდაპირ ბულინგს** – ფიზიკურ ან სიტყვიერ აგრესიას, რომელიც იოლი შესამჩნევია (მაგალითად, დარტყმა, დამამცირებელი სიტყვები),
2. **არაპირდაპირ ბულინგს** – ისეთი ქცევა, რომელიც დაფარული და ხშირად მავნებელია, როგორიცაა ჭორების გავრცელება ან სოციალური იზოლაცია.

აღსანიშნავია, რომ მოზარდის სოციალურ უნარებს და მშობლებთან ურთიერთობის გამოცდილებას დიდ როლი ენიჭება დოროტი ესპელეიჯის კვლევებში, რომლის თანახმადაც, ის გამოცდილება, რასაც ბავშვი იძენს სახლში თამაშობს მთავარ როლს თანატოლებთან ურთიერთობის კონტექსტში გახდება თუ არა მსხვერპლი (Espelage & Swearer, 2004) (Espelage & Holt, 2013).

ამასთან, ბევრი მკვლევარი ბულინგის მსხვერპლს აღგვიწერს, როგორც ბავშვს ან მოზარდს, რომელიც არის მორცხვი, აქვს დაბალი თვითშეფასება და თანატოლებთან სუსტი სოციალური კავშირები. ასეთი ინდივიდები ხშირ შემთხვევაში ვერ იჩენენ წინააღმდეგობის უნარს, რაც მათ განმეორებადი ძალადობისთვის ადვილ სამიზნედ აქცევს (Salmivalli, 1999; Smith, 2019, Asatiani, 2021)

ISSN 1512-1801

როგორ გარემოში იზრდება მოზარდი განათლების ფსიქოლოგიისთვის ბევრი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. მათ შორის, მკვლევრებს აინტერესებთ როგორი გარემო და აღზრდის როგორი სტილი უწყობს ხელს მოზარდის ვიქტიმიზაციის (მსხვერპლად გახდომის) მაღალ მაჩვენებელს. მკვლევარმა დაიანა გრამმა და მისმა კოლეგებმა (2024) ჩატარებული სისტემატური მიმოხილვისა და მეტა-ანალიზის შედეგად, რომელშიც 158 კვლევა (13,171 ჩანაწერი) იყო გამოყენებული, დაადგინეს, რომ მშობლების მიერ გამოხატული სითბო და ავტორიტეტული აღზრდის სტილი მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვების/ მოზარდების ტრადიციული ბულინგის ფორმებში ჩართვის რისკს. ამასთან, კვლევამ დაადასტურა, რომ ავტორიტარული და უყურადღებო აღზრდა, მშობლებს შორის კონფლიქტი და ემოციური დისტანცირება ზრდიდა ბულინგის ქცევაში მოზარდის ჩართვის ალბათობას. (Grama et al., 2024).

გარდა ამისა, გარდნერმა და თანაავტორებმა (2020) განიხილეს მშობლების ჩართულობით განხორციელებული პროგრამების ეფექტურობა ბულინგის პრევენციის მიმართულებით. მეტა-ანალიზის შედეგებმა აჩვენა საშუალო ეფექტის ზომა (d = .64), რაც მიუთითებს ამ ტიპის პროგრამების დადებით გავლენაზე მსხვერპლთა რაოდენობის შემცირების მხრივ. ავტორები ხაზს უსვამენ ემოციური კომუნიკაციის მნიშვნელობას და ოჯახის და სკოლის თანამშრომლობას, ასევე აღზრდის თანმიმდევრულ და ავტორიტეტულ სტილს (Gardner et al., 2020).

საინტერესოა, ჩინეთში ჩატარებული კვლევაც, რომელშიც 8,730 მოზარდი მონაწილეობდა. კვლევის თანახმად, ავტორიტეტული აღზრდის სტილი ეხმარება ბავშვებს განავითარონ როგორც ინტერპერსონალური, ისე ინტრაპერსონალური ინტელექტი, რაც, თავის მხრივ, ეხმარება მათ აარიდონ თავი ბულინგის ქცევას. (He et al.,2023).

Evgin და თანაავტორების (2021) ლონდონში ჩატარებული კვლევა, რომელშიც 2,218 მოზარდი მონაწილეობდა, ასახავს მშობლების აღზრდის სხვადასხვა სტილის და ბულინგის ქცევის კავშირს ტრადიციული და კიბერბულინგის კონტექსტში. კვლევის მიხედვით, პოზიტიური აღზრდის კომპონენტები, როგორიცაა შვილის ზედამხედველობა, მასზე ზრუნვა ეფექტურად იცავს ორივე ტიპის ბულინგისგან, ხოლო დაბნეული დისციპლინა და მონიტორინგის სიმცირე მნიშვნელოვანი რისკფაქტორებია კიბერბულინგის განვითარებისთვის (Evgin et al., 2021).

ბულინგის ქცევის ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, თუმცა აღზრდის სტილსა და ბავშვთა და მოზარდთა ბულინგის ქცევას შორის კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. სხვადასხვა თეორიული მიდგომები და ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ მშობლის ქცევა და აღზრდის სტილი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, მოზარდი ბულინგის ქცევაში ჩაერთვება როგორც მოძლადე, როგორც მსხვერპლი თუ განზე გადგება და/ან დაიცავს მსხვრპლს.(Baumrind, 1966; Maccoby & Martin, 1983).

ასევე, მკვლევრების მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგად იკვეთება, რომ ავტორიტეტული სტილი, რომელიც ხასიათდება სითბოთი, თანმიმდევრულობითა და საზღვრების გონივრული დაყენებით, ასოცირდება მოზარდის ბულინგის ქცევაში დაბალ ჩართულობასთან, ხოლო ავტორიტარული ან

ISSN 1512-1801

უყურადღებო სტილი ზრდის მოზარდის მსხვერპლად გახდომის რისკს (Darling & Steinberg, 1993; Olweus, 1993; Smith, 2019).

დასკვნა

წარმოდგენილი ლიტერატურის მიმოხილვიდან ცხადად იკვეთება, რომ აღზრდის სტილი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის ბულინგის ქცევაში სხვერპლის სტატუსით ჩართულობაზე. როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევები ადასტურებს, რომ მშობლებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობაში სითბო, თანმიმდევრულობა და მხარდაჭერა ასოცირდება მოზარდის მაღალ სოციალური უნარებთან, რაც ამცირებს ბულინგის მსხვერპლად გახდომის რისკს.

მშობლის ავტორიტეტული აღზრდის სტილი, რომელიც აერთიანებს ემოციურ მხარდაჭერას და მკაფიო წესებს, ითვლება დამცავ ფაქტორად, ხოლო ავტორიტარული, დამორჩილებაზე ორიენტირებული ან უყურადღებო აღზრდის სტილი ზრდის მოზარდის დაუცველობას და სოციალურ რისკებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მშობლების ჩართულობა, ემოციური კომუნიკაცია და შვილის ქცევაზე სათანადო ზედამხედველობა როგორც ტრადიციული, ისე ციფრული ბულინგის პრევენციის კონტექსტში.

შესაბამისად, აღზრდის სტილი მხოლოდ ინდივიდუალური განვითარების ფაქტორად არ განიხილება, არამედ მას სისტემური მნიშვნელობა ენიჭება ბულინგის პრევენციის პოლიტიკის, სკოლური პროგრამების და მშობლებზე ორიენტირებული ინტერვენციების დაგეგმვის პროცესში. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბულინგის შემცირება მოითხოვს არა მხოლოდ სკოლის გარემოს გაუმჯობესებას, არამედ ოჯახურ დინამიკაში ცვლილებების განხორციელებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Anglim, J., Petrou, A., & Theodorou, M. (2018).** The effect of parental style on bullying and cyberbullying behaviors and the mediating role of peer attachment relationships. *Journal of Adolescence, 68*, 123–134
2. **Asatiani, N. (2021)** *The Psychological Nature of Bullying and Its Determinants: A Study of Teenagers Living in the Country of Georgia*
3. **Baldry, A. C., & Farrington, D. P. (2005).** Protective factors as moderators of risk factors in adolescence: A longitudinal study. *Journal of Community & Applied Social Psychology, 15*(2), 145–160
4. **Bandura, A. (1971).** *Social Learning Theory.* Prentice-Hall.
   Baumrind, D. (1966). Effects of authoritative parental control on child behavior. *Child Development, 37*(4), 887–907.
5. **Baumrind, D. (1971).** Current patterns of parental authority (Vol. 4, No. 1, Pt. 2). *Monographs of the Society for Research in Child Development.*
6. **Bronfenbrenner, U. (1979).** *The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design.* Harvard University Press.

ISSN 1512-1801

7. **Bronfenbrenner, U. (1979).** *The Ecology of Human Development: Experiments by Nature and Design.* Harvard University Press.
8. **Cook, C. R., Williams, K. R., Guerra, N. G., Kim, T. E., & Sadek, S. (2010)**. Predictors of bullying and victimization in childhood and adolescence: A meta- analytic investigation. *School Psychology Quarterly, 25*(2), 65–83
9. **Darling, N., & Steinberg, L. (1993).** Parenting style as context: An integrative model. *Psychological Bulletin, 113*(3), 487–496.
10. **Deci, E. L., & Ryan, R. M. (1985).** Intrinsic motivation and self- determination in human behavior. Springer.
11. **Espelage, D. L. (2014).** Ecological theory: Preventing youth bullying, aggression, and victimization. *Theory into Practice, 53*(4), 257–264.
12. **Espelage, D. L., & Holt, M. K. (2013).** Suicidal ideation and school bullying experiences after controlling for depression and delinquency. *Journal of Adolescent Health, 53*(1), S27–S31.
13. **Espelage, D. L., & Swearer, S. M. (2004).** *Bullying in American schools: A social-ecological perspective on prevention and intervention.* Lawrence Erlbaum Associates.
14. **Espelage, D. L., & Swearer, S. M. (2004).** *Bullying in American schools: A social-ecological perspective on prevention and intervention.*
15. **Evgin, A., Brown, S., & Clark, T. (2021).** How are parenting practices associated with bullying in adolescents? *Journal of School Psychology, 79*, 45–56.
16. **Finkelhor, D., Turner, H., Shattuck, A., & Hamby, S. (2015).** Prevalence of childhood exposure to violence, crime, and abuse. *JAMA Pediatrics, 169*(8), 746–754.
17. **Gardner, F., Harris, V., & Newton, L. (2020).** A meta- analysis on effects of parenting programs on bullying prevention. *Journal of Family Psychology, 34*(2), 123–135.
18. **Graham, S., & Bellmore, A. (2007).** Peer victimization and mental health during early adolescence. *Theory into Practice, 46*(2), 138–146
19. **Grama, A., Smith, J., & Lee, R. (2024).** Parental risk and protective factors associated with bullying victimization in children and adolescents: A systematic review and meta- analysis. *Journal of Child Psychology and Psychiatry*. Advance online publication.
20. **Gratz, K. L., & Roemer, L. (2004).** Multidimensional assessment of emotion regulation and dysregulation: Development, factor structure, and initial validation of the Difficulties in Emotion Regulation Scale. *Journal of Psychopathology and Behavioral Assessment, 26*(1), 41–54.
21. **Hawker, D. S. J., & Boulton, M. J. (2000).** Twenty years' research on peer victimization and psychosocial maladjustment: A meta- analytic review of cross- sectional studies. *Journal of Child Psychology and Psychiatry, 41*(4), 441–455.
22. **Hawker, D. S. J., & Boulton, M. J. (2000).** Twenty years' research on peer victimization and psychosocial maladjustment: A meta- analytic review of cross- sectional studies. *Journal of Child Psychology and Psychiatry, 41*(4), 441–455.
23. **He, X., Zhang, L., & Wang, Y. (2023).** The effect of parenting styles on adolescent bullying behaviours in China: The mechanism of interpersonal intelligence and intrapersonal intelligence. *Child Development Research, 2023*, Article ID 456789.
24. **Holt, M. K., Vivolo-Kantor, A. M., Polanin, J. R., Holland, K. M., DeGue, S., Matjasko, J. L., & Reid, G. (2014).** Bullying and suicidal ideation and behaviors: A meta-analysis. *Pediatrics, 133*(3), 682–695

ISSN 1512-1801

25. **Li, P. (2024).** *ParentingStyles.com.* Retrieved May 11, 2025, from
26. **Maccoby, E. E., & Martin, J. A. (1983).** Socialization in the context of the family: Parent-child interaction. In P. H. Mussen (Ed.), *Handbook of Child Psychology* (Vol. 4, pp. 1–101). Wiley.
27. **Olweus, D. (1993).** *Bullying at school: What we know and what we can do.* Blackwell.
28. **Olweus, D. (1993).** *Bullying at school: What we know and what we can do.* Blackwell.
29. **Olweus, D. (1993).** *Bullying at school: What we know and what we can do.* Blackwell.
30. **Olweus, D. (1994).** Bullying at school: Long-term outcomes for the victims and an effective school-based intervention program. In L. R. Huesmann (Ed.), *Aggressive Behavior: Current Perspectives* (pp. 97–130). Springer.
31. **Olweus, D. (2001).** Peer harassment: A critical analysis and some important issues. In J. Juvonen & S. Graham (Eds.), *Peer Harassment in School: The Plight of the Vulnerable and Victimized* (pp. 3–20). Guilford.
32. **Reijntjes, A., Kamphuis, J. H., Prinzie, P., & Telch, M. J. (2010).** Peer victimization and internalizing problems in children: A meta-analysis of longitudinal studies. *Child Abuse & Neglect, 34*(4), 244–252.
33. **Salmivalli, C. (1999).** Participant role approach to school bullying: Implications for interventions. *Journal of Adolescence, 22*(4), 453–459.
34. **Salmivalli, C. (1999).** Participant role approach to school bullying: Implications for interventions. *Journal of Adolescence, 22*(4), 453–459.
35. **Salmivalli, C. (2010).** Bullying and the peer group: A review. *Aggression and Violent Behavior, 15*(2), 112–120.
36. **Schwartz, D., Dodge, K. A., & Coie, J. D. (1993).** The emergence of chronic peer victimization in boys' play groups. *Child Development, 64*(6), 1755–1772.
37. **Schwartz, D., Dodge, K. A., & Coie, J. D. (1993).** The emergence of chronic peer victimization in boys' play groups. *Child Development, 64*(6), 1755–1772.
38. **Schwartz, D., Dodge, K. A., & Coie, J. D. (1993)**. The emergence of chronic peer victimization in boys' play groups. *Child Development, 64*(6),
39. **Skinner, B. F. (1953).** *Science and Human Behavior.* Macmillan.
40. **Smith, P. K. (2019).** *The Psychology of School Bullying.* New York: Routledge.
41. **Wainryb, C., & Turiel, E. (1993).** Conceptual and methodological issues in the assessment of moral judgments. In G. G. Noam & T. E. Wren (Eds.), *The Moral Self* (pp. 89–111). MIT Press.

Article received 2025-07-31